განკარგულება:**გ-31. 31260852**
თარიღი:**26/03/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №12

2026 წლის 26 მარტი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად,

მუხლი1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026 წლის სამოქმედო გეგმა დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026 წლის სამოქმედო გეგმა			
ამოცანა 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების და თანამდებობის პირების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზი			
N	**საქმიანობა**	**ვადები**	**შემსრულებელი**
1	ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი და ანალიზი, ქალთა და ბავშვთა საჭიროებებიდან გამომდინარე	პერიოდულად	მერიის შესაბამისი სამსახური; საბჭო
2	ბიუჯეტის განხილვის დროს საჭიროებების ინტეგრირება	პერიოდულად	მერიის შესაბამისი სამსახური; საბჭო
3	საგანგებო მართვის გეგმაში ქალთა ჩართულობის და მათი საჭიროების გაზრდა	პირველი კვარტალი	მერიის შესაბამისი სამსახური; საბჭო
4	საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული სამართლებრივი აქტების გადახედვა ქალთა და ბავშვთა საჭიროებების ინტეგრაციის კუთხით, ცვლილებების ინიცირება	პირველი კვარტალი	საბჭო; საკრებულო
ამოცანა 2. ქალთა და ბავშთა უფლებების, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველსაყოფად არსებული სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, ინფორმაციის პერიოდულად გავრცელება			
N	**საქმიანობა**	**ვადები**	**შემსრულებელი**

1	საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან	მეორე კვარტალი	საბჭო; მერიის შესაბამისი სამსახური
2	თემატური შეხვედრების ორგანიზება შშმ პირებთან და მათ მშობლებთან საჭიროებებიდან გამომდინარე	მეორე კვარტალი	საბჭო; მერიის შესაბამისი სამსახური
3	თემატური შეხვედრა მედიცინის მუშაკებთან მუნიციპალური სერვისების თაობაზე ცნობადობის ამაღლების კუთხით	მეორე კვარტალი	საბჭო
4	ქალთა თვის აქცია, „ვიზრუნოთ ქალის ღიმილისთვის“	მეორე კვარტალი	საბჭო/მერია
4	გმირთა დღის ღონისძიების ორგანიზება	მეორე კვარტალი	საბჭო/მერია
5	კომერციული ფართის (შენობა-ნაგებობის) მეპატრონეებთან შეხვედრა ადაპტირებული გარემოს შექმნის მიზნით	მეორე კვარტალი	საბჭო
ამოცანა 3. ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით ცალკეული ღონისძიებების შემუშავება, დაგეგმვა და მონაწილეობის მიღება			

N	საქმიანობა	ვადები	შემსრულებელი
1	დაგეგმილ ღონისძიებებში ქალების და ბავშვების მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა	პერიოდულად	მერიის შესაბამისი სამსახური; საბჭო
2	სტარტაპერ ქალთა ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა, ხელშეწყობა და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება	პერიოდულად	მერიის შესაბამისი სამსახური; საბჭო
3	ვარდისფერი ოქტომბრის ფარგლებში ქალთა აქცია/პერფორმანსის ორგანიზება	მესამე კვარტალი	მერიის შესაბამისი სამსახური; საბჭო
ამოცანა 4. მოწყვლადი ჯგუფების საჭიროების შესწავლა და მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება			
N	**საქმიანობა**	**ვადები**	**შემსრულებელი**
1	მარტოხელა მშობლებთან შეხვედრები და კონსულტაციები	პირველი კვარტალი	მერიის შესაბამისი სამსახური/ საბჭო
2	შეხვედრა დევნილ ოჯახებთან კონსულტაციების ორგანიზების კუთხით	პირველი კვარტალი	მერიის შესაბამისი სამსახური/ საბჭო
3	დღის ცენტრში შეხვედრები	პირველი კვარტალი	მერიის შესაბამისი სამსახური/ საბჭო

4	სოციოლოგიური კვლევის ჩატარება ბავშვთა და ქალთა საჭიროებების მიხედვით.	მესამე კვარტალი	მერიის შესაბამისი სამსახური/ საბჭო
ამოცანა 5. ქალთა და ბავშვთა უფლებების თანასწორობის შესახებ ინტეგრირებული საგანმანათლებლო და სხვა ღონისძებების ჩატარება			
N	**საქმიანობა**	**ვადები**	**შემსრულებელი**
1	სპორტული დღის მოწყობა მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირთა მონაწილეობით	მესამე კვარტალი	მერიის შესაბამისი სამსახური/ საბჭო
ამოცანა 6. საბჭოს წევრთა შესაძლებლობების გაძლიერება			
1	საბჭოს წევრთა გადამზადება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხებში	მეოთხე კვარტალი	საბჭო/მერია
ამოცანა 7. ბავშვთა უფლებებზე ცნობიერების ამაღლება			
1	შეხვედრები მშობლებთან და დიალოგი „პოზიტიური მშობლის“ როლზე	მეოთხე კვარტალი	საბჭო/მერია
3	ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის ჩატარება	მეოთხე კვარტალი	საბჭო/მერია
4	ახალგაზრდებთან ტრენინგები თემებზე: „პერსონალური მონაცემების დაცვა“, „როგორ ამოვიცნოთ კიბერბულინგი“ და „ციფრული ეტიკეტი“	მეოთხე კვარტალი	საბჭო/მერია

5	სპეციალური სესიები მშობლებისთვის, რათა მათ ასწავლონ ბავშვებს ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენება და შეძლონ ბულინგის ნიშნების ადრეული ამოცნობა.	მეოთხე კვარტალი	საბჭო/მერია
6	მუნიციპალიტეტის სკოლებში საინფორმაციო ბანერებისა და პოსტერების განთავსება, სადაც მითითებული იქნება „ცხელი ხაზის“ ნომრები.	მეოთხე კვარტალი	საბჭო/მერია
ამოცანა 8. ხელოვნების სფეროში დასაქმებული, მეწარმე, სპორტსმენი ქალების საჭიროებების დადგენა			
1	შეხვედრების ორგანიზება, ხელოვნების სფეროში დასაქმებულ, მეწარმე, სპორტსმენ ქალთა საჭიროებებსა და გამოწვევებზე	მეოთხე კვარტალი	საბჭო/მერია